ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 12 01 2018წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4-ბ.

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

რექტორის 2018 წლის 10 იანვრის N1-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2017 - 2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პაატა გოგიშვილისა (N1/094, 12.01.2018) და სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის ეკა ლუაშვილის (N1/093ა, 12.01.2018) მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 10 იანვრის N1-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2017 - 2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ და ბრძანების პირველი პუნქტის დანართი N1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
2. უნივერსიტეტის მიერ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალის წარმოების წესის“ შესაბამისად შევსებული მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილების კორექტირებული ელექტრონული ფორმის („ვაკანტური ადგილების რეპორტი“) წარდგენა მოხდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
3. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი N1

2017 - 2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ვაკანტური ადგილები:

1. **ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)**
   ა) ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **3 ადგილი;**
   ბ) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   გ) ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   დ) მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **3 ადგილი;**

2. **სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):**
   ა) ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   ბ) სოციოლოგიის (სოციოლოგია, დემოგრაფია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   გ) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   დ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი.**

   შენიშვნა: ზემოთ აღნიშნულ პროგრამებზე, გარდა ***სოციოლოგიის (სოციოლოგია, დემოგრაფია)*** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა, მობილობის წესით ჩარიცხვის წინაპირობაა კომისიის მიერ მობილობის მსურველთან გასაუბრება, მისი ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით.

3. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე):**
   ა) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   გ) ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   დ) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   ე) საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი.**

4. **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):**
   ა) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **2 ადგილი;**
   ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **2 ადგილი.**